პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 132 (6187)

1978 წ. 8 ივლისი, შაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## კალათბურთი

ამას წინათ ქალაქ ხერსონში დამთავრებულ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს [illegible] რომელიც ჭაბუკ კალათბურთელებისთვის მოეწყო, [illegible] ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა. I ადგილი სავსებით დამსახურებული ჯილდო გამოდგა იმ კარგი თამაშისთვის, ჩვენმა ჭაბუკებმა რომ აჩვენეს.

ამ სურათზე აღბეჭდილია ტურნირში გამარჯვებული გუნდი და მწვრთნელები ლ. ინწკირველი (მარცხნივ) და ა. კილაძე.



# მშვიდობისთვის, ხალხის ინტერესებისთვის

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მუშაობაში ნათლად აისახა საბჭოთა ხალხის მისწრაფება მშვიდობისა და აღმშენებლობისადმი.

მთელი ქვეყანა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართულ პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ".

6 ივლისს დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, შესრულებისა და დენონსაციის წესის შესახებ კანონის პროექტის გამო მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დეპუტატმა ა. ა. გრომიკომ.

სესიაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ზ. ა. პატარიძე.

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

# კოსმოსში ვაჟკაცობისა და გმირობისთვის

6 ივლისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის მაღალი ჯილდოები გადასცა სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავ პ. ი. კლიმუკს და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეს მკვლევარ კოსმონავტ მიროსლავ გერმაშევსკის.

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს პეტრე ილიას ძე კლიმუკს გადაეცა ლენინის ორდენი, ხოლო პირველ პოლონელ კოსმონავტს მიროსლავ გერმაშევსკის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის" მედალი.

ჯილდოების გადაცემისას სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

## ცურვა

ვუშინწინ მოსკოვის საწყლოსნო სპორტის ოლიმპიურ ცენტრში დაიწყო მოცურავეთა 47-ე საკავშირო ჩემპიონატი. ლენინგრადელმა ი. ბოგდანოვამ შეინარჩუნა უძლიერესის წოდება 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. მან შესანიშნავი დრო 2.33,92 აჩვენა, თითქმის 2,5 წამით აჯობა ოლიმპიურ ჩემპიონს, მოსკოველ მ. კოშევაიას. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს მოსკოველმა ლ. ცარიოვამ (57,87) და ლენინგრადელმა ა. კრილოვმა — 52,28. ამავე დისტანციაზე ბატერფლაით ცურვაში ჩემპიონები გახდნენ მოსკოველი ა. გრიშჩენკოვა (1.04,01) და ლენინგრადელი ე. სერედინი — 56,39. 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გაიმარჯვეს დნეპროპეტროვსკელმა ე. კრუგლოვამ (2.20,35) და ლენინგრადელმა ვ. კუზნეცოვმა — 2.05,76 (სსრ კავშრიის რეკორდი). 200 მეტრზე ბრასით ცურვაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ელგაველმა ა. მისკაროვმა — 2.18,47.

## რეკორდები

22,15 მეტრი! ამიერიდან ასეთია ვაჟთა შორის ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდი, რომელიც მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონმა უ. ბაიერმა (გდრ) შვეციის ქალაქ გეტერბორგში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში დაამყარა. ძველი რეკორდი (22 მ.) ეკუთვნოდა საბჭოთა მძლეოსანს ა. ბარიშნიკოვს და მონრეალის ოლიმპიადის წინ იყო დამყარებული.

# მოზარდთა რესპუბლიკური...

თბილისში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზებზე დამთავრდა მე-11 რესპუბლიკური შეჯიბრება რადიოსპორტში პიონერთა და მოსწავლეთა შორის.

ცალკეულ სახეობებში ჩემპიონობა დაისაკუთრეს: რადიოგრამების მიღება-გადაცემაში — გოგონებში ვ. სელივანოვამ (თბილისის 108-ე საშ. სკოლა), ვაჟებში — რ. აბრამიანმა (89-ე საშ. სკოლა); რადიომრავალჭიდში — ს. მირზოხანიანმა (129-ე საშ. სკოლა) და ნ. ხუბეროვამ, „მელაზე ნადირობაში" — გ. სააკიანმა და ნ. მინდიაშვილმა (სამივე — 119-ე საშ. სკოლა).

საერთო გუნდური პირველობა თბილისის 119-ე სკოლის გუნდმა მოიგო; წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის რადიოსპორტის დიდ ენთუზიასტს, გადამდგარ პოდპოლკოვნიკს რ. სტაროსტინს, რომელიც წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდა სკოლის რადიოსპორტულ სექციაში.

მეორე ადგილი დაიკავა თბილისის ლენინის სახ. რაიონის სპორტულ-ტექნიკური სკოლის გუნდმა. მესამე — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ნაკრებმა.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული. სარბიელზე სულ ოთხი კოლექტივი გამოვიდა. ტურნირს რატომღაც თავი აარიდეს ბათუმის, ქობულეთის, ცხინვალის, რუსთავის და სხვა ქალაქების რადისტებმა.

ნ. შენგელია.

## ტანვარჯიში

# ირინე გაბაშვილი ტრადიციას არ ღალატობს

კვლავ წარმატებით იასპარეზა ქართული მხატვრული ტანვარჯიშის ლიდერმა ირინე გაბაშვილმა ახლახან ავსტრიაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც მონაწილეობდა სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის 19 წამყვანი სპორტსმენი.

გაბაშვილმა სტაბილურად წარმართა შეჯიბრება. მის ყველა გამოსვლას თან ახლდა მუსიკის რიტმის იშვიათი შეგრძნება, მოძრაობათა სინატიფე, შესრულების ორიგინალური ხელწერა და, რაც ყველაზე სასიამოვნოა, მხატვრული ტანვარჯიშის ავსტრიელი თაყვანისმცემლების მხურვალე, გულთბილი მისალმებანი.

გაბაშვილი მხოლოდ 0,05 ქულით ჩამორჩა I ადგილზე გასულ ლ. პადბირიოზას (სსრ კავშირი). III ადგილზეა, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი ს. გუსევა.

ამავე შეჯიბრებაში მონაწილეობდა მეორე ქართველი სპორტსმენი, ლალი დოლიძეც. მან მეათე ადგილი დაიკავა.



სურათზე: ი. გაბაშვილი. ჯ. კასრაძის ფოტო.

# ლაპას რაპირისტები აგრძელებენ

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, თბილისის ძალოსნობისა და ფარიკაობის უმაღლესი ოსტატების სპორტსკოლის დარბაზში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების პირადგუნდური შეჯიბრება ფარიკაობაში.

ხმლით მოფარიკავეთა შემდეგ ასპარეზობაში რაპირისტი ვაჟები ჩაებნენ.

თბილისელმა სპორტის ოსტატებმა რ. გიორგაძემ (სახელმწიფო უნივერსიტეტი) და ვ. გრიგოლიამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) კარგად ჩაატარეს წინასწარი შეხვედრები და ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. გიორგაძეს არც გადამწყვეტ ორთაბრძოლებში შეურცხვენია თავი, ზედიზედ ხუთი გამარჯვება მოიპოვა და პირველ ადგილზე გავიდა. მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად ლვოველ ა. კოლესნიკოვსა და ერევნელ ს. აბრამიანს ერგოთ. ვ. გრიგოლიას ფინალში ხელი მოეცარა და საბოლოოდ მეექვსე ადგილს დასჯერდა.

გუნდურ ასპარეზობაში ამჯერადაც საუკეთესო იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები, მომდევნო საპრიზო ადგილებზე ნოვოსიბირსკის ელექტრომექანიკური და დნეპროპეტროვსკის სამედიცინო ინსტიტუტების სპორტსმენები გავიდნენ.

ფიზკულტურის ინსტიტუტების სპორტკლუბებს შორის ყველაზე კარგი მაჩვენებელი ლვოველებს ჰქონდათ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მესამე ადგილზე გავიდნენ.

გ. ელბუჯაური.

## ჭადრაკი

# თამაში ვერ აეწყო

დაუგავპილსი, 7 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ სსრ კავშირის ვაჟთა 46-ე ჩემპიონატის მასობრივ შერჩევით ტურნირში VI ტურის შეხვედრები ჩატარდა.

საქართველოს წარგზავნილებმა ორი პარტია ყაიმით დაამთავრეს და ამდენივე წააგეს. ყაიმზე შეთანხმდნენ დიდოსტატები დ. ბრონშტეინი (მოსკოვი) — ე. გუფელდი (თბილისი) და ოსტატები ზ. სტურუა (თბილისი) — ლ. გოფშტეინი (კიევი). ოსტატი გ. ზაიჩიკი (თბილისი) დამარცხდა ოდესელ კ. ლერნერთან, ხოლო ოსტატობის კანდიდატი დ. გედევანიშვილი (თბილისი) — დიდოსტატ ა. სუეტინთან (მოსკოვი).

6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან საერთაშორისო ოსტატი ს. პალატნიკი — 5 ქულა, დიდოსტატი ლ. ალბურტი (ორივე — ოდესა), ოსტატები ჰ. კასპაროვი (ბაქო), ვ. ფაიბისოვიჩი (ლენინგრადი), ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი) — 4,5-4,5.

ე. გუფელდი,
საერთაშორისო დიდოსტატი.

# გვისმენს მეგობრული მთა-ბარი



ტურისტული გვერდი № 4 (14)

## სსრ კავშირის კონსტიტუცია მოქმედებაში


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით აღსავსე წელი

### ტურიზმის ფედერაციის II რესპუბლიკური პლენუმი

**ტურბაზა** „ვაკის" კლუბში გაიმართა საქართველოს ტურიზმის ფედერაციის II პლენუმი. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ტურიზმის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ო. ბობოხიძე.

მომხსენებელმა თქვა, რომ დღეს პირველად ჯამდება ფედერაციის მუშაობის შედეგები მას შემდეგ, რაც პირველი, ორგანიზაციული პლენუმი გაიმართა. მას შემდეგ ერთ წელზე მეტი გავიდა. ეს წელი აღსავსე იყო დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით. მათ შორის მთავარი იყო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციების მიღება, რომლებშიც დიდი აღიარება ჰპოვა ტურიზმმა. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ბუნებრივია, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წიგნების „მცირე მიწისა" და „აღორძინების" გამოსვლა. ყოველივე ეს კი დიდ ამოცანებს სახავს ტურისტული ორგანიზაციების წინაშე.

წლეულს ლაშქრობები საბჭოთა ხალხის რევოლუციურ და საბრძოლო შრომითი დიდების ადგილებში ტარდება ახალგაზრდობის საბრძოლო და შრომითი ტრადიციების აღზრდის დევიზით.

ამ ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად ტარდებოდა პრეზიდიუმის სხდომები. აქ განიხილებოდა თვითმოქმედი ტურიზმის საკითხები, ძირითადი ღონისძიებების გეგმები, ტურისტული შეკრება-შეჯიბრებების დებულებები. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ფედერაციის ჩამოყალიბებამ კეთილისმყოფელი გავლენა იქონია თვითმოქმედი ტურიზმის განვითარების საქმეში. გახშირდა ტურისტული შეკრება-შეჯიბრებების გამართვა, ამაღლდა მონაწილეთა ოსტატობის დონე, გაუმჯობესდა საზოგადოებრივი კადრების მომზადებისა და ტურიზმის პროპაგანდის საქმე.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე მომზადდა 300-ზე მეტი საზოგადოებრივი ტურისტული მუშაკი, მათ შორის 200-მდე ინსტრუქტორი. სასიამოვნოა, რომ ტურიზმის მომავალ ინსტრუქტორთა მომზადება მიმდინარეობდა ისეთ რთულ ადგილებში, როგორიცაა ცენტრალური კავკასიონი, დასავლეთი კავკასიონი, მდინარე ალაზანი და სხვა.

აქვე საჭიროა თბილი სიტყვებით მოვიხსენიოთ ქუთაისის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" გამგეობის თავმჯდომარე გ. ყალაბეგიშვილი და ინსტრუქტორი ა. კენჭაძე, რომელთა ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა კარგ ტრადიციას — ქუთაისელ, ტყიბულელ და თერჯოლელ ტურისტთა შეკრება-შეჯიბრებას. პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, აგრეთვე საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების დახმარებით, ქუთაისელთა ღონისძიება ტურისტთა ზეიმად იქცა.

ასევე პოპულარობით სარგებლობს თბილისელ ტურისტთა ტრადიციული შეკრება-შეჯიბრებაც, რომელიც გამარჯვების დღეს ეძღვნება. ამ ღონისძიებაში მონაწილეობენ, აგრეთვე, თბილისის გარნიზონის მეომრებიც.

სამწუხაროდ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტული შეკრება-შეჯიბრებები ხშირად გაიოლებული პროგრამით ტარდება, რაც, ბუნებრივია, ხელს არ უწყობს სპორტსმენთა ოსტატობის ზრდას. ხშირია შემთხვევები, როცა ასეთი ღონისძიებების პროგრამაში შეაქვთ ხელყუმბარის ტყორცნა, ეგრეთწოდებულ „სათაგურებში" გაძრომა და ტურიზმისთვის უცხო სახეობები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით შეიმჩნევა სპორტსაზოგადოებათა ღონისძიებებში.

როდესაც ტურისტულ შეჯიბრებებზე ვსაუბრობთ, აქვე უნდა ვთქვათ, რომ რესპუბლიკის ნაკრებს ძალზე შეუშალა ხელი გამოუცდელობამ, როცა შარშან უფაში გამართულ ქვეითი ტურიზმის პირველ საკავშირო შეკრება-შეჯიბრებაში გამოდიოდნენ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ნაკრებმა 30 გუნდს შორის XIII ადგილი დაიკავა, რასაც წარმატებად ვთვლით. მით უმეტეს, რომ უკან ჩამოვიტოვეთ მოსკოვის, როსტოვის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრები გუნდები.

უნდა გამოვთქვათ კრიტიკა სპორტის ოსტატობის კანდიდატ სარიჩევის მისამართით. მან ბევრი გააკეთა და ახლაც იღვწის რესპუბლიკაში ავტო-მოტო ტურიზმის განვითარებისთვის, მადლობელი ვართ მისი საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. მაგრამ, აქვე უნდა ვთქვათ, რომ ცნაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობას არასრულფასოვნად ასრულებს. სხვამ ვინ, თუ არა მან და მისმა კომისიამ, უნდა დაიცვას დადგენილი ნორმები.

ჩვენი რესპუბლიკის ტურისტებს სხვადასხვა ექსპედიციების ჩატარების მდიდარი ტრადიციები აქვთ. საკმარისია ითქვას, რომ სპელეოლოგიურმა ექსპედიციებმა ჩაუყარა საფუძველი ახალი ათონის მღვიმის შესწავლას, რომელიც დღეს მასობრივ სანახაობით ობიექტს წარმოადგენს.

ჩვენმა ფედერაციამ გადაწყვიტა სამხრეთ ოსეთის ტურისტული შესაძლებლობების შესწავლა და შეუდგა მის განხორციელებას. პირველმა ექსპედიციამ საინტერესო მასალები მოაგროვა და გვჯერა, საქმეს ბოლომდე მივიყვანთ.

ამჟამად ქუთაისის, წყალტუბოსა და ლეჩხუმის რაიონებში იმყოფება ჩვენი სპელეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც სპელეოტურიზმის სექციის თავმჯდომარე ჯ. ჯიშკარიანი ხელმძღვანელობს.

როდესაც ექსპედიციებზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს ერთი ტენდენცია — სხვადასხვა ექსპედიციის მონაწილენი, რომლებიც ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს ხარჯებით დადიან, მოგზაურობიდან დაბრუნებისას უხალისოდ, ან საერთოდ არ აბარებენ მარშრუტის აღწერილობებს, კინო-ფოტო მასალებს და ცდილობენ ისინი თავიანთ საკუთრებად აქციონ.

ჩვენმა ფედერაციამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ტურიზმის აგიტაცია-პროპაგანდის საქმეში. რესპუბლიკის გაზეთებში, რადიოსა თუ ტელევიზიაში სულ უფრო და უფრო მეტი ადგილი ეთმობა ტურიზმის საკითხებს.

რამდენიმე სიტყვა რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებებში თვითმოქმედი ტურიზმის მდგომარეობაზე. უკანასკნელ ხანებში პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებებში, ფიზკულტურულ კოლექტივებში და ტურისტულ სექციებში მუშაობა გამოცოცხლდა. ამ მხრივ გამოირჩევა „განთიადი", „სპარტაკი" და „შრომითი რეზერვები". დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ საქართველოს პროფკავშირების ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებიდან. მაგრამ, ყოველივე ამასთან, პრაქტიკა გვიჩვენებს, ტურიზმი სპორტსაზოგადოებებში ყოველდღიური ზრუნვის საგანი არ გამხდარა. არც ერთი სპორტსაზოგადოების გეგმაში არ არის ისეთი ღონისძიებები, რომელიც უფლებას მოგვცემდა სპორტსმენებისთვის ესა თუ ის თანრიგები მიგვენიჭებინა.

სამართლიანობისა და თვითკრიტიკისთვის ვიტყვით, რომ არც ჩვენ ფედერაციას გამოუჩენია სათანადო მზრუნველობა სპორტსაზოგადოებებთან კონტაქტების დასამყარებლად.

კიდევ რამდენიმე სიტყვა, ამჯერად აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ტურიზმის ფედერაციების მისამართით. თუ აჭარაში და განსაკუთრებით აფხაზეთში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ამას ვერ ვიტყვით სამხრეთ ოსეთზე.

ჩვენი ფედერაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გარემოს დაცვა. სამწუხაროდ, ამ მიმართებით ტურისტებისა და საზოგადოებების მობილიზების საქმეში ჯერჯერობით საამაყო არაფერი გვაქვს.

# მეყაითი შრომის შედეგი

**თბილისის** პროფესიულ სავაჭრო კულინარულ სასწავლებელში 6 წელია, რაც ტურისტული კლუბის სექცია ჩამოყალიბდა. მას თავდაპირველად ი. ილურიძე ხელმძღვანელობდა. ახლა კი ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი, სპორტის ოსტატი ი. გალდავა უდგას სათავეში.

სასწავლებლის ტურისტულ სექციაში 60 მოსწავლეა გაერთიანებული. ყოველწლიურად კი ტურისტულ ლაშქრობაში 450-მდე ახალგაზრდა მონაწილეობს.

იშვიათია ტურისტული შეკრება-შეჯიბრება, რომ აქაური მოსწავლეები გამარჯვებულნი არ დაუბრუნდნენ თავიანთ სასწავლებელს.

წლეულს, მაისში, არაგვის ხეობაში გამართულ ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების ტურისტთა შეკრება-შეჯიბრებაში, რომელშიც 26 ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა, ბადალი არ ჰყავდათ მომავალ კულინარებს. შარშან კი „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს მიერ მოწყობილ საქალაქო ტურისტულ შეკრება-შეჯიბრებაზე გაიმარჯვეს და თასიც დაისაკუთრეს.

აქაური მოსწავლე ტურისტები ყოველ თებერვალში აწყობენ ტრადიციულ ლაშქრობას საბჭოთა არმიისა და ფლოტის დღესთან დაკავშირებით.

სექციის აქტიური წევრები არიან: ო. ჩაფიძე, თ. ზაქაიძე, ი. ციხისელი, გ. ტატუაშვილი, დ. მანველიძე, ც. ლაცაბიძე, ლ. სამუნაშვილი და სხვები.

ტურისტული სექციის წევრებს სისტემატურად უტარდებათ სემინარები, სადაც თეორიულ ცოდნას იღრმავებენ. მოსწავლეები სემინარების ჩატარების შემდეგ ტურისტული შეკრება-შეჯიბრების მსაჯობაში მონაწილეობენ და საზოგადოებრივი მსაჯის წოდებებს ღებულობენ. ასეთები არიან: ე. ბიბილაშვილი, ზ. ცხადაძე, თ. ქოქაშვილი, ზ. მეგრელიშვილი და სხვები.

ახლა მომავალი კულინარების მიზანია წლეულს ოქტომბერში საქალაქო შეჯიბრებაზე მონაწილეობის მიღება და შარშან დაკარგული (II ადგილი დაიკავეს) I ადგილისა და თასის დაბრუნება.

რა თქმა უნდა, მომავალ კულინარებთან რომ კარგადაა დაყენებული ტურიზმის საქმე, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მათ დირექტორს, ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარეს გ. გურეშიძეს. მადლობა ეთქმის, აგრეთვე, რესპუბლიკის ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირის კომიტეტს და თბილისის ტურისტულ კლუბს, რომლებიც ყოველმხრივ ზრუნავენ, რათა მომავალ კულინარებს ყოველგვარი პირობა შეუქმნან აქტიური და სასარგებლო დასვენებისთვის.

**მარინე წამალაშვილი.**

# საინტერესოდ, ხალისიანად...

**გუდაუთაში,** მიუსერის ნაკრძალზეა გაშლილი რესპუბლიკის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის კავშირების ქუთაისის აბრეშუმის გაერთიანების შ. რუსთაველის სახელობის პიონერთა ბანაკი (უფროსი ა. ბასიაშვილი).

მართალია, ბანაკი რესპუბლიკურია, მაგრამ აქ ქართველ და აფხაზ გოგო-ბიჭებთან ერთად სხეულს იკაჟებენ რუსი და უკრაინელი, სომეხი და აზერბაიჯანელი პიონერები.

ბანაკის ხშირი სტუმრები არიან ბამ-ის მშენებელთა შვილებიც. მცხუნვარე მზის, მოლივლივე ზღვისა და უღრანი ტყის გარდა ბავშვების განკარგულებაშია ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორები და საცურაო აუზი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში და მრავალი სხვა გასართობი. ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლის ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი ო. ადეიშვილი, რომელიც აქ ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას უდგას სათავეში, ყველაფერს აკეთებს, რათა პიონერები ჯანმრთელნი და გაკაჟებულნი დაბრუნდნენ მშობლიურ კუთხეში. ტურისტული ლაშქრობები, სპარტაკიადა, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, ცურვის შემსწავლელთა წრეში მეცადინეობა, ნავებით სეირნობა, სპორტული შეხვედრები მეზობელი ბანაკების პიონერებთან საინტერესოს და ხალისიანს ხდის ნორჩების ყოველდღიურ ცხოვრებას.

**მ. ზაქარეიშვილი.**





# კოჯრის მიდამოებში

**ამას წინათ** კოჯრის მიდამოებში გაიმართა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მედმუშაკთა ორგანიზაციების ტურისტთა შეკრება-შეჯიბრება, აგრეთვე მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივი ჩაბარება 60 და 100 მეტრზე, რბენაში, ხელყუმბარის ტყორცნაში.

შეჯიბრებამ, რომლის ძირითადი მიზანი იყო ტურიზმის პოპულარიზაცია და ფართოდ დანერგვა, დიდი ინტერესი გამოიწვია. ასპარეზობაში 16 ორგანიზაციის 21 გუნდი გამოდიოდა. ყველას კი უმაღლესი სასწავლებლების პოლიკლინიკის კოლექტივმა აჯობა. მეორე იყო ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გუნდი, ხოლო მესამე — მე-4 მთავარი სამმართველოს სავადმყოფო-პოლიკლინიკის ნაკრები.

**ტ. გალდავა,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

• • •

**სურათებზე:** ტურისტული შეკრება-შეჯიბრების მომენტები — „დაშავებულის" გადაყვანა; კარვის გაშლა.

ავტორის ფოტოები.



მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

# სხვისი ნავებით

**ორი თვის** შემდეგ ტაშკენტის „ფახთაქორის“ სტადიონზე აღიმართება ჩვენი ქვეყნის მოსწავლეთა სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობათა ალამი. ნორჩების სიმამაცის, ძალისა და ძლიერების ამ ფორუმისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი გახლავთ მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის უკანასკნელი აკორდი იყო ამ დღეებში ფოთში გამართული ტურნირი ნიჩბოსნობაში.

კაპარჭინაზე მოწყობილ სტარტებზე 100-მდე მოსწავლე გამოვიდა სოხუმიდან, ბათუმიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან, მცხეთიდან, რუსთავიდან, ფოთიდან. სპეციალისტების ყურადღება მიპყრობილი იყო საქართველოს ნაკრების წევრთა მზადყოფნის დათვალიერებისკენ. ამიტომაც მსაჯთა კოლეგია, რომელიც კომპეტენტური არბიტრებისგან (საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი სოხუმიდან ნ. ემუხვარი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი მცხეთიდან გ. მამულაშვილი და სხვები) შედგებოდა, შეუვალობითა და ობიექტურობით გამოირჩეოდა.

როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა ძირითადად ნაკრების კანდიდატთა შორის გაჩაღდა (ისინი ჩასათვლელ ქულებს თავიანთი ქალაქისა და რაიონის კოლექტივებს აძლევდნენ).

როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის არბიტრმა გ. მამულაშვილმა გვითხრა, მოსწავლეთა მაჩვენებლები წინა სპარტაკიადასთან შედარებით უკეთესია. ერთმოსასმელიანი ბაიდარით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფოთელი მ. ჭედია, რომელმაც 500 და 1000 მეტრზე რბოლაში იოლ გამარჯვებას მიაღწია. მას და ნაკრების სხვა წევრებს გ. ზახარჩენკოს (ფოთი), ვ. გუტკოვს (სოხუმი), ა. ხუროშვილს (მცხეთა) სხვა რაიონებისა და ქალაქების გუნდების წევრებმა კონკურენცია ვერ გაუწიეს.

კანოისტებზე ამას ვერ ვიტყვით. ნაკრების კანდიდატებს თბილისელ ვ. ბლიზნიაკოვს და მცხეთელ ვ. ხუროშვილს რუსთაველმა ი. ცხოვრებაძემ და ქუთაისელმა ზ. სინათაშვილმა გაასწრეს.

კარგ სპორტულ ფორმაში არიან კანოისტების — ი. და გ. ბერიძეების დუეტი, ბათუმელები მ. კოჟუხოვსკაია და ტ. კუსაკინა, ფოთელი ტ. იზმაილოვა, თბილისელი ტ. შამშური, მაგრამ საკავშირო სტარტამდე დარჩენილ ორ თვეში მეტი შრომა მართებთ.

ნიჩბოსნობაში რეკორდების აღრიცხვა არ ხერხდება, ვინაიდან სპორტსმენთა ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალის გარდა, მაჩვენებლებში დიდ როლს თამაშობს დისტანცია და ამინდი. ქარისა და წყლის დინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომაც ამჟერად, ჩვენი ნიჩბოსნების მაჩვენებლებზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. ერთი ცხადია, ნაკრების მწვრთნელებს საკავშირო სტარტებამდე დაუღალავი შრომა სჭირდებათ, რომ იქიდან ჩვენი მოზარდები ხელცარიელნი არ დაბრუნდნენ.

როცა საქმე ეხება ნორჩ სპორტსმენებს, მეტი გულისხმიერება გვმართებს; ბავშვებს წვრთნისა და ასპარეზობის ყველა პირობა უნდა შევუქმნათ. სამწუხაროდ, თბილისის გუნდის წევრები ტურნირზე ამ პირობებს მოკლებულნი იყვნენ — საკუთარი ნავები არ გააჩნდათ და ნათხოვარი ინვენტარით მაღალ შედეგებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

როგორც სპეციალისტებმა გვითხრეს, რესპუბლიკის ნაკრებისთვის ინვენტარის საქმე მოგვარებულია. მაგრამ ნავებისა და ნიჩბების მიჩვევასაც დრო უნდა, ბაზალეთის ტბასა და სიონის წყალსაცავზე ჩატარებულ შეკრებებს კი არსებითი როლის შესრულება არ შეუძლიათ.

გაგაცნობთ სპარტაკიადის ჩემპიონებს: **გოგონები 500 მ ბაიდარა. ერთადგილიანი.** მ. კოჟუხოვსკაია (ბათუმი) — 2.19,5; **ორადგილიანი.** ო. სიბირკო, ლ. ანტონოვა — 2.15,0.

**ვაჟები. ბაიდარა. ერთადგილიანი. 500 მ.** ვ. გუტკოვი (სოხუმი) — 1.59,0; **ორადგილიანი.** მ. ჭედია, გ. ზახარჩენკო (ფოთი) — 1.51,0; **4X500 მ.** ვ. გუტკოვი, ნ. ჩიჩუა, პ. ტრეპეტუნი, ვ. საბარი (სოხუმი) — 9.13,00. **1000 მ. ერთადგილიანი.** ჭედია — 4 წუთი; **ორადგილიანი.** ა. მალიშევი, ს. ფომენკო (ორივე — სოხუმი) — 3.54,0, **ოთხადგილიანი.** ტრეპეტუნი, მალიშევი, საბარი, ფომენკო (სოხუმი) — 3.30,0. **კანოე. 500 მ. ერთადგილიანი.** ი. ცხოვრებაძე (რუსთავი) — 2.19,2; **ორადგილიანი.** ვ. ფურსოვი, ს. ზარვიგორი — 2.10,0; **4X500 მ.** ვ. ბლიზნიაკოვი, ზარვიგორი, ი. დავიდოვი, ვ. მოროზოვი (ყველა — თბილისი) — 11.22,0; **1000 მ. ერთადგილიანი.** ცხოვრებაძე — 4.29,0; **ორადგილიანი.** ი. ბერიძე, გ. ბერიძე (მცხეთა) — 4.10,0.

**გუნდური.** გოგონები. ბათუმი, სოხუმი, მცხეთა; ვაჟები. სოხუმი, მცხეთა, რუსთავი.

**თ. კახიძე.**

# სპორტის სასახლის თაღებქვეშ

**ხელბურთი**

**თბილისის** სპორტის სასახლეში ორი „ბურევესტნიკის“ — თბილისისა და კრასნოდარის ხელბურთელთა გუნდების მეორე ტაიმის მეექვსე წუთი იწურებოდა. თბილისელთა ერთ-ერთი სწრაფი იერიშის დროს (თამაშს ჩვენები იგებდნენ სამი ბურთის სხვაობით — 17:14), თბილისელმა გ. ნარიმანიძემ გაიტანა ბრწყინვალე გოლი მეტოქის კარში.

— ამ დარბაზში ჯერ კიდევ 1963 წელს მითამაშია თქვენი გუნდის წინააღმდეგ, — გვეუბნება კაუნასის „გრანიტასის“ უფროსი მწვრთნელი, ლიტვის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის საპატიო ოსტატი ვიტაუტას კონტვეიტესი, ბიჭი იყავი და გეშოვა ბილეთი, რომელსაც მოედანზე ჯ. ცერცვაძე და გ. მაჭავარიანი, ი. ფხაკაძე და ლ. კარტოზია, თ. ანთაძე და ჯ. ბაგრატიონი, ა. ექსეულიძე და ჯ. აბაიშვილი თამაშობდნენ... თბილისელთა გუნდში ახლაც კარგი ოსტატები არიან და, ვფიქრობთ, რომ ა. ანპილოგოვი, ა. ტაბიძე, გ. ნარიმანიძე, გ. ბერიაშვილი პარტნიორებთან ერთად ქართულ ხელბურთს კვლავ მოუტანენ წარმატებას.

ამ დღეს მოედანზე სათამაშოდ პირველნი სწორედ ვ. კონტვეიტესის აღსაზრდელები გამოვიდნენ, რომლებიც ფინალში გასვლას ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის“ ეცილებოდნენ.

„ალუმინსტროიმ“ თავიდანვე ენერგიულად დაიწყო შეხვედრა და სწრაფად დაწინაურდა — 2:0, 4:2. მხოლოდ მეათე წუთზე გაათანაბრეს კაუნასელებმა ანგარიში — 4:4 და ი. კაუჩიკასის ზუსტი ტყორცნების შედეგად დაწინაურდნენ კიდეც სამი ბურთით — 7:4, მალე კაუნასელებმა კიდევ უფრო გაზარდეს სხვაობა — 10:6, 12:7 და თამაშის პირველი ნახევარი მოიგეს — 13:10.

საბოლოოდ გაიმარჯვა „გრანიტასმა“ — 31:23.

საასპარეზოდ თბილისისა და კრასნოდარის „ბურევესტნიკის“ გუნდები გამოვიდნენ. ანგარიში მეორე წუთზე ს. პოკურკინმა გახსნა, შემდეგ ი. ბეზუგლოვმა (მან ამ მეხვედრაში სტუმართაგან ყველაზე მეტი — 8 ბურთი გაიტანა) შეძლო თბილისელთა კარის მეორედ აღება. აქვე ზ. დოლიძის ბურთს ვ. ნიკოლაიჩუკის გოლი მოჰყვა — 1:3. ამის შემდეგ დოლიძემ და ბეზუგლოვმა კვლავ მიაღწიეს წარმატებას — 2:4. და აი, გ. ნარიმანიძისა და ი. ნავროზაშვილის ეფექტური გარღვევების შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 4:4. ეს იყო შეხვედრის მე-6 წუთი. კრასნოდარელთა მთავარ შემტევ ძალას, ბეზუგლოვს გუნდის დისპეტჩერ ვ. მოროზოვის მეშვეობით ზუსტი ტყორცნებით კვლავ წინ გაჰყავს სტუმრები — 9:7. თბილისელები მეკარე ჯ. ბარამიძეს სცვლიან ა. კომახიძით. 8:9, 10:11 11:11 (მე-18 წუთზე). ამის შემდეგ მასპინძლები სწრაფად დაწინაურდნენ და ტაიმიც მოიგეს 4 ბურთის სხვაობით — 16:12. კარგი ტყორცნებით გამოირჩეოდა გ. ნარიმანიძე (ამ დღეს მან 9 ბურთი გაიტანა), რომლის ულამაზესი გოლის შესახებ ჩვენ უკვე მოგახსენეთ.

მეორე ტაიმში კრასნოდარელებმა კიდევ ერთხელ მოახერხეს წინ გასვლა — 20:19 (მე-19 წუთზე). ეს იყო და ეს! თბილისელებმა უაღრესად მწვავე ბრძოლაში შეძლეს მეტოქის დამარცხება (25:23) და ფინალში გავიდნენ.

გუშინ საღამოს თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე გაიმართა გადამწყვეტი მატჩი თბილისის „ბურევესტნიკსა“ და კაუნასის „გრანიტასს“ შორის, აგრეთვე შეხვედრა მესამე ადგილისათვის: „ალუმინსტროი“ — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი).

**ო. ნოზაძე.**

• • •

**სურათზე:** შესანიშნავად ჩაატარა განვლილი შეხვედრა თბილისელმა გ. ნარიმანიძემ (მუქ მაისურში), რომლის მორიგი გარღვევა აღბეჭდილია ამ სურათზე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



**საქართველოს ჩემპიონატი**

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

## I ჯგუფი

„პოლიტექნიკური ინსტიტუტი“ (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).

სტუდენტებს გამარჯვება მოუტანა კვარაცხელიას მიერ 69-ე წუთზე გატანილმა გოლმა.

ასკ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:1. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).

პირველ წარმატებას მიაღწიეს ჩემიელებმა (ცანავა). საპასუხო ბურთი 66-ე წუთზე გაიტანა სანაიამ.

„კოლხეთი“ (ხობი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:1. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

ხობელთა მხრივ ბურთი გაიტანა გვასალიამ, ხოლო საპასუხო — ჯანიამ.

„ნადიკვარი“ (თელავი) — „ივერია“ (ხაშური) 2:0. მსაჯი გ. მიქატაძე (ქუთაისი).

თელაველმა ფეხბურთელებმა გამარჯვების მოპოვება შეძლეს მეორე ტაიმში იაშვილისა და აბდუაევის ზუსტი დარტყმების შემდეგ.

„ჩიხურა“ (საჩხერე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:3. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „გურიისი“ (ცხაკაია) 3:1. მსაჯი მ. ბიაშვილი (გორი).

„მეშახტე“ (ტყიბული) — „იბერია“ (ქარელი) 6:0. მსაჯი თ. გრიგოლაშვილი (თბილისი).

თამაში მიმდინარეობდა მასპინძელთა აშკარა უპირატესობით. 2 ბურთი გაიტანა გ. ბოჭორიშვილმა, თითო — ჭელიშვილმა, გამყრელიძემ, არსენიძემ და გუმბერიძემ.

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 0:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

„მზიური“ (გალი) — „სპარტაკი“ (თბილისი) 2:0. მსაჯი ნ. წურწუმია (ფოთი).

კოსტროვსკიმ და ზაქარაიამ 2 „მზიურელი“ ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლ“. ფ. | 24 | 14 | 7 | 3 | 47—18 | 35 |
| „მზიური“ | 24 | 15 | 5 | 4 | 38—19 | 35 |
| „მეშახტე“ | 21 | 15 | 4 | 2 | 35—8 | 34 |
| „მეტალ“. რ. | 23 | 15 | 4 | 4 | 37—17 | 34 |
| „მერცხ“. | 22 | 11 | 8 | 3 | 33—15 | 30 |
| „ენერგეტ“. | 24 | 10 | 7 | 7 | 31—26 | 27 |
| ასკ თბ. | 25 | 9 | 9 | 7 | 29—24 | 27 |
| „მაღარ“. | 21 | 11 | 4 | 6 | 37—27 | 26 |
| „კოლხ“. ხ. | 25 | 8 | 10 | 7 | 21—22 | 26 |
| „სპარ“. თბ. | 23 | 9 | 6 | 8 | 30—24 | 24 |
| „ჩიხურა“ | 23 | 9 | 6 | 8 | 28—23 | 24 |
| „ამირანი“ | 25 | 8 | 7 | 10 | 23—31 | 23 |
| პოლ. ინსტ. | 25 | 10 | 2 | 13 | 32—36 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. | 24 | 9 | 4 | 11 | 29—42 | 22 |
| „ნადიკვარი“ | 24 | 6 | 9 | 9 | 27—30 | 21 |
| „ივერია“ ხ. | 25 | 7 | 7 | 11 | 16—28 | 21 |
| „მეტალ“. ზ. | 23 | 6 | 7 | 10 | 29—31 | 19 |
| „სქური“ | 25 | 7 | 5 | 13 | 33—36 | 19 |
| „სალხინო“ | 23 | 5 | 8 | 10 | 24—42 | 18 |
| „ეგრისი“ | 25 | 4 | 8 | 13 | 18—33 | 16 |
| „დურუჯი“ | 25 | 7 | 2 | 16 | 17—39 | 16 |
| „სპარ“. ცხ. | 22 | 4 | 7 | 11 | 23—30 | 15 |
| „იბერია“ ქ. | 25 | 4 | 4 | 17 | 18—54 | 12 |

**საჯარიმო ფურცელი**

განვლილ მატჩებში უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გააძევეს ა. ზუკაკიშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ხოლო მსაჯის შეურაცხყოფისთვის — თ. ჯიქია („ამირანი“, ოჩამჩირე).

გაფრთხილებული არიან: ბ. გაზაევი და ვ. ქოზაევი („სპარტაკი“, ცხინვალი), ნ. ჭაბაშვილი (ასკ, თბილისი), გ. ქავთარაძე („კოლხეთი“, ფოთი), შ. თხილაიშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ნ. ფაჩოშვილი („დურუჯი“, ყვარელი).

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

**ფეხბურთი**

## სსრ კავშირის თასზე

**5 ივნისს** მოსკოვში შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა“ და კიევის „დინამოს“ შორის.

დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს კიეველებმა — 2:1, რომელთაგან ორივე გატანილი გოლის ავტორი იყო ბესონოვი (საპასუხო ბურთი ეკუთვნის ტორპედოელ ხრაბროსტინს).

## მსოფლიოს ჩემპიონატის ირგვლივ

**ავსტრიელთა** მწვრთნელმა ჰ. სენეკოვიჩმა, რომელმაც ჩემპიონატის შემდეგ დატოვა გუნდი, მიწვევა მიიღო ეგვიპტიდან, რათა სათავეში ჩაუდგეს ამ ქვეყნის ნაკრებს.

**ჩემპიონატისთვის** განსაზღვრული მატჩებზე დასასწრები ბილეთებიდან გაიყიდა 82 პროცენტი.

**მატჩ-რევანში** არგენტინასა და ჰოლანდიას შორის გაიმართება 1979 წლის 22 მაისს ციურიხში, ფიფა-ს 75 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 8 ივლისი. ასკ-ს სტადიონი. „სპარტაკი“ (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა). დასაწყისი 18 ს. 9 ივლისი. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ნადიკვარი“ (თელავი). 11 ს.

**მშვილდოსნობა**

**კლაიპედაში** დამთავრდა სსრ კავშირის პირადი პირველობა მშვილდოსნობაში. ქალთა შეჯიბრებაში ჩემპიონის ოქროს მედალი წილად ხვდა ლვოველ ვ. კოვპანს. მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ამ ტურნირში ორი მსოფლიო რეკორდის ავტორიც გახდა („ლელო“ ამის შესახებ უკვე წერდა). მრავალჭიდში კოვპანმა 2547 ქულა მოაგროვა. მან ოქროს მედლები მიიღო, აგრეთვე, 70 და 60 მეტრიდან სროლაში (50 მეტრზე იმარჯვა ქვეყნის შარშანდელმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ირკუტსკელმა ლ. შიკოტამ, ხოლო 30 მეტრზე — ჩიტელმა გ. არხიპოვამ).

ვაჟთა შორის საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა 19 წლის ბაქოელი ვ. მაქსიმოვი — 2521 ქულა. მანვე ოქროს მედალი მიიღო 50 მეტრზე ასპარეზობაში. სხვა დისტანციებზე იმარჯვეს კიშინიოველმა ა. ივანენკომ (70 და 30 მეტრზე) და ჩიტელმა ვ. ეშეევმა (90 მეტრზე).

მრავალჭიდში ქალთა შორის ვერცხლის მედალი ერგო ტაშკენტელ მსოფლიო რეკორდსმენს ნ. ბუტუზოვას — 2534, ბრინჯაოსი — ტამბოველ ევროპის ჩემპიონს ო. როგოვას — 2496. ვაჟებში ასეთივე ჯილდოები მიიღეს შესაბამისად ეშეევმა (2518) და მოსკოველმა ა. აულოვმა (2515).





# მეშახტეთა შვილებისთვის

**ტყიბულში** სულ ახლახან ჩადგა მწყობრში სპორტული კომპლექსი, მაგრამ იგი უკვე ქალაქის ნორჩ მცხოვრებთა შორის პოპულარობით სარგებლობს.

მეშახტეთა 500-ზე მეტი ბავშვი მეცადინეობს კრივის, ფეხბურთის, ცურვის, ფრენბურთის, ჭიდაობისა და სპორტის სხვა სახეობათა სექციებში. აქ გამოცდილი მწვრთნელების რ. ბოჭორიშვილის, ზ. აბესაძის, ვ. ბურჯანაძის ხელმძღვანელობით მოზარდები სპორტულ ოსტატობას ეუფლებიან.

სურათებზე: სპორტული კომპლექსი ტყიბულში; ნორჩ ძიუდოისტებს გამოცდილებას გადასცემს მწვრთნელი ზ. აბესაძე; მოცურავეებს ავარჯიშებს ე. კახიძე.

ს. ედიშერაშვილისა და გ. გერსამიას ფოტოები.

(საქინფორმი).



# დრო მირბის...

**ავგისტოში**, ჰავანაში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მუჰამედ ალი და გამოჩენილი კუბელი მოკრივე თეოფილო სტივენსონი. ამასთან დაკავშირებით ერთმა ჟურნალისტმა ალის ჰკითხა: ხომ არ შეიძლება ისე მოხდეს, რომ პროფესიონალმა მოკრივემ წააგოს [illegible] ... და თუ კი 19.. წლის ოლიმპიური ჩემპიონი [illegible] მარცხებს 1960 წლის ოლიმპ... ჩემპიონს, ეს უცნაური კი ... ბუნებრივი იქნება, — უპა... ალიმ.

## კრივი

**დონეცკში** გაიმართა სსრ კავშირისა და აშშ-ს იუნიორ მძლეოსანთა ტრადიციული ამხანაგური მატჩი. პირველი დღის შემდეგ მასპინძლები ლიდერობდნენ 11 ქულის უპირატესობით, მაგრამ მეორე დღეს პროგრამის 18 სახეობიდან ამერიკელებმა 12-ში იმარჯვეს და საბოლოოდ შეხვედრა მოიგეს — 194:186.

ამ წარმატებას მათ მიაღწიეს განსაკუთრებით ჭაბუკთა ხარჯზე, რომლებმაც დუელი მოიგეს — 123:111, თორემ ქალიშვილების მატჩში მასპინძლებმა იმარჯვეს — 75:71.

როგორც მუდამ, ამერიკელები ახლაც „მოდის კანონმდებლები“ იყვნენ სპრინტში, ესტაფეტებსა და თარჯრბენში. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ 110 მეტრზე თარჯრბენში სვერდლოვსკელ ა. პროკოფიევის წარმატება (14,09) და ლენინგრადელი სპრინტერის ნატალია ბოჩინოიხის გამარჯვება 200 მეტრზე რბენაში — 23,83.

**დრეზდენში** სსრ კავშირისა და გდრ-ის მრავალჭიდელთა შეჯიბრებაში ხუთჭიდში საბჭოთა სპორტსმენებმა იმარჯვეს როგორც პირად ჩათვლაში, ისე გუნდურში. მსოფლიო რეკორდსმენმა ნ. ტკაჩე...

## მძლეოსნობა

...ნკომ (მაკეევკა) 4668 ქულა მ... როვა. ეს შედეგი წლეულს მე... მსოფლიოში.

ვაჟთა შორის ათჭიდში ფინ... ბიც ცდილნენ ძალას. სწორე... ქვეყნის წარმომადგენლის, ... წლის ი. ლაპტის გამარჯვებით ... თავრდა პირადი ტურნირი — ... ქულა. ბელგოროდელმა ი. ... ნკომ მესამე შედეგი (7905) ა... გუნდური პირველობა მასპინძ... ბმა მოიგეს. საბჭოთა ნაკრებ... რე ადგილზეა.

**სტოკჰოლმში** გამართულ მძ... ოსანთა საერთაშორისო შეჯიბრ... ზე მონრეალის ოლიმპიადის ვე... ლის პრიზიორმა, პოლონელმ... მალინოვსკიმ წლეულს ევრ... სტადიონებისთვის საუკეთესო ... დეგით (8.16,3) იმარჯვა 300 მ... ზე წინაღობებით რბენაში. პორ... გალიელმა ფ. მამედემ კი 5000 ... ტრზე ასპარეზობაში — 13.17... თუმცა მამედე ფინიშთან მ... მივიდა. მას აჯობეს ამერიკელ... ლიკერიმ — 13.16,21 და ახა... ლანდიელმა რ. დიქსონმა ... 13.17,37.

# ორივეჯერ იმარჯვეს

**სსრ კავშირის** კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა ორი საერთაშორისო მატჩი გამართა სან-ხუანში პუერტო-რიკოს ნაკრებთან და ორივეჯერ გაიმარჯვა — 106:85 და 112:87. ორივე შეხვედრაში მატჩების დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა სტუმრებს, მაგრამ შემდგომ საბჭოთა კალათბურთელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და გაიმარჯვეს. განსაკუთრებით კარგად ითამაშეს ცენტრალურმა მოთამაშეებმა ბელოსტენიმ და ტკაჩენკომ.

## „რეალი“ — ევროპის ნაკრები

**2 ივლისს** მადრიდში გაიმართა საინტერესო საკალათბურთო მატჩი ადგილობრივ „რეალსა“ და ევროპის ნაკრებს შორის.

შემთხვევითი არ არის, რომ ევროპის ნაკრების მეტოქედ „რეალი“ დაასახელეს. მადრიდის „რეალი“ ექვსჯერ (1964, 1965, 1967, 1968, 1974 და 1978 წ. წ.) ფლობ... და ევროპის ქვეყნების ჩემპიო... თასს და ოთხჯერ (1962, 1... 1969 და 1975) იყო ამ თასის გ... მაშების ფინალისტი.

ამ მატჩში ევროპის ნაკრ... ღირსების დაცვა გუნდის უფ... მა მწვრთნელმა, იტალიელმა ... კარლო პრიმამ შემდეგ კა... ბურთელებს ანდო: მიგუელ ს... ლიანა (ესპანეთი), დინო მენე... რენცო ბარივიერა, ლორენცო ... რარო (ყველა — იტალია), ... ბროუდუ, მიკ ბერკოვიცი (ორი... ისრაელი), კამილო ბრაბა... ირჟი პოსპიშილი (ორივე — ... ოსლოვაკია), სერგეი ბელოვი ... კავშირი), დრაჟენ დალიპა... დრაგან კიჩანოვიჩი და რაიკო... ჟიჩი (ყველა — იუგოსლავია).

მატჩი, რომელსაც სჯიდნენ ... გვატერი (ჰოლანდია) და ბ... შევიჩი (იუგოსლავია), დამთ... „რეალის“ გამარჯვებით — 11... (56:52).

## კალათბურთი

# ახალი მიღწევებით

## ცურვა

**ბერლინში** გდრ-ის მოცურავეთა ჩემპიონატზე ერთ დღესაც არ გაევლო მას შემდეგ, რაც ა. პოლაკმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში, რომ 17 წლის მოსწავლე გოგონამ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ახლა უკვე იმავე სტილით ოღონდ 200 მეტრ დისტანციაზე. მისი დრო 2.09,87, რაც მისსავე წინანდელ მიღწევას 1,33 წამით სჯობს. კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა ბ. კრაუზემ. მან 100 მეტრი თავისუფალი სტილით 55,41 წამში დაფარა, რაც 0,24 წამით სჯობს მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონის კ. ენდერის წინანდელ მიღწევას. მოგაგონებთ, რომ კრაუზემ შეჯიბრების პირველ დღეს მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა ენდერს 200 მეტრ დისტანციაზეც — 1.59.04.

## მოძმე სოციალისტური ქვეყნები

# ემზადებიან...

**ბუდაპეშტი.** „ჩვენი ნაკრების მთავარი მიზანია მოსკოვის ოლიმპიადაზე წარმატებით ასპარეზობა, — პრესის წარმომადგენლებს განუცხადა უნგრეთის მოკრივეთა ეროვნული ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ფერენც კელნერმა. — დანარჩენი შეჯიბრებები, მათ შორის ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატიც (რომელშიც ჩემი აღზრდილები მოსალოდნელზე სუსტად გამოვიდნენ), მხოლოდ საფეხურებია ოლიმპიადის გზაზე“.

46 წლის სპეციალისტის აზრით იუგოსლავიის რინგზე დამარცხება „სასარგებლო“ გამოდგა, „ევროპის მომავალ ჩემპიონატზე 1979 წელს ჩვენი ტყავის ხელთათმნის ოსტატებისგან დიდ წარმატებებს მოველით, — განაგრძო კელნერმა. — ვფიქრობ მოსკოვის ოლიმპიური თამაშები არ გააწბილებს უნგრეთის მოკრივეებს“. (საკდესი).

# მომავალი ოლიმპიადების თაობაზე

**სოფია.** ცნობილმა ბელგიელმა სპორტულმა მოღვაწემ რაულ მოლემ, რომელიც მონაწილეობდა სოფიაში გამართულ ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასამბლეაში, ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს მოსკოვში XXII ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას. ჩემის აზრით, აქამდე არც ერთი ქალაქი ასე საზრიანად და ზუსტად არ ემზადებოდა თამაშებისთვის, როგორც მოსკოვი. ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალ წელს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალები ბევრ ოლიმპიურ ნაგებობაში გაიმართება. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს არა მარტო ენთუზიაზმზეა დამოკიდებული, არამედ ოლიმპიადისთვის მზადებაში მთელი საბჭოთა ხალხის მონაწილეობაზე. ეს ჭეშმარიტად ახალი მომენტია ოლიმპიური თამაშების ისტორიაში.

რაც შეეხება 1980 წლის ზამთრის ოლიმპიადას, მაინცდამაინც არ ვარ დაინტერესებული აშშ-ში მზადების მიმდინარეობით, რამდენადაც სპორტის ზამთრის სახეობები ბელგიაში სუსტადაა განვითარებული. მაგრამ ჩემი შეშფოთება გამოიწვია ცნობის იმ ნაწილმა, რომლითაც მომავალი თეთრი ოლიმპიადის მასპინძლები იუწყებიან, რომ ლეიკ-პლესიდში სპორტსმენთა დასვენების პირობები არცთუ სახარბიელო იქნება, ეს ძალიან ცუდია. არ შეიძლება, რომ სპორტსმენებს, რომლებსაც 15 დღის განმავლობაში დაძაბული ბრძოლები ელით, არ შეუქმნან დასვენების კარგი პირობები — ისინი ხომ 4 წლის განმავლობაში გაძლიერებით ემზადებოდნენ ოლიმპიადისთვის.

აი, რა თქვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა, საფრანგეთის სპორტის ყოფილმა მინისტრმა, ერთ-ერთმა ცნობილმა ალპინისტმა მორის ერცოგმა.

— ათენში სოკ-ის სესიაზე და აქ, სოფიაში ჩვენ გვქონდა ზუსტი ინფორმაცია მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების თაობაზე. მე მაქვს შესაძლებლობა უშუალოდ ვადევნო მას თვალყური, ვინაიდან ხშირად ჩავდივარ სსრ კავშირის დედაქალაქში. 1980 წლის თამაშების მასპინძლებმა უკვე დიდ წარმატებას მიაღწიეს თამაშებისთვის მზადების საქმეში.

რაც შეეხება 1980 წლის ზ... რის თამაშებს ლეიკ-პლესიდში, ვფიქრობ, რომ ორგანიზატ... დიდ სიძნელეებს წააწყდები...

კითხვაზე, რას ფიქრობს ... ლოს-ანჯელესის, როგორც ... წლის ოლიმპიური თამაშების ... პინძლის ბედზე, ერცოგმა უ... ხა: „ჩემის აზრით, სოკ-მა ა... და დაუთმოს ლოს-ანჯელესის ... თხოვნებს მისი ფინანსური ... ბლემების გამო. ეს უბრალო... ნტაჟია. ამჟამად იქ დიდი დ... სტრაციები იმართება გადასა... ბის გაზრდის წინააღმდეგ.

სოკ-ის მიერ ათენში მიღ... გადაწყვეტილება პირობითია, ... რამ ჩემის აზრით, იგი უკვე ... გვარი დათმობა იყო. თუ ... შეძლებს თავისი ფინანსური ... ბლემების მოგვარებას, ჩვენ ... ფერი გვაქვს საწინააღმდეგო“ (... კდესი).

რედაქტორის მოადგ...
ზ. ჯაფარ...

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელ...
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-9...; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრ... 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 021...